

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №12

2011 წლის 30 მარტი

ქ. დუშეთი

ადგილობრივი გადასახადის (ქონების) შემოღების და მისი განაკვეთების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-60, 202-ე, 204-ე და 206-ე მუხლების, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 23 დეკემბრის №394 დადგენილების შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. შემოღებულ იქნეს დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი-ქონების გადასახადი და დადგინდეს მისი განაკვეთები:

1. რეზიდენტი საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ქონების გადასახადი შეადგენს:

ა) რეზიდენტი საწარმოების და ორგანიზაციებისათვის – მის ბალანსზე ძირითად საშუალებად აღიცხულ აქტივებზე, დაუმონტაჟებელ მოწყობილობებზე, დაუმთავარებელ მშენებლობაზე და არამატერიალურ აქტივებზე, აგრეთვე მის მიერ ლიზინგით გაცემულ ქონებაზე – საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების 1%-ს.

ბ) არარეზიდენტი საწარმოსათვის – საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ მის ბალანსზე ძირითად საშუალებად აღიცხულ აქტივებზე, დაუმონტაჟებელ მოწყობილობებზე, დაუმთავარებელ მშენებლობაზე და არამატერიალურ აქტივებზე, ლიზინგით გაცემულ ქონებაზე, მ.შ. იჯარის, ქირის, უზუფრუქტის ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემულ არსებულ ქონებაზე – საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების 1%-ს.

2. ფიზიკური პირისათვის ქონების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია მის საკუთრებაში არსებული:

ა) უძრავი ქონება (მ.შ. დაუმთავრებელი მშენებლობა, შენობა-ნაგებობა ან მათი ნაწილი), იახტები (კატარღები), შვეულმფრენები, თვითმფრინავები.

ბ) არარეზიდენტისაგან ლიზინგით მიღებული ქონება;

გ) ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში მის ბალანსზე ძირითად საშუალებად აღიცხული აქტივები, დაუმონტაჟებელი მოწყობილობები და არამატერიალური აქტივები, აგრეთვე მის მიერ ლიზინგით გაცემული ქონება.

3. ფიზიკური პირის დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთი დიფერენცირებულია გადასახადის გადამხდელის ოჯახის მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლების მიხედვით და განისაზღვრება შემდეგი ოდენობით:

ა) 100.000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 0,08 პროცენტს;

ბ) 100.000 ლარისა და მეტი შემოსავლების მქონე ოჯახებისათვის – საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 0,9 პროცენტს.

4. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე შეადგენს:

სასოფლო-სამეურნეო მიწაზე ქონების გადასახადის განაკვეთი

სახნავი და სხვა მიწებისთვის 1 ჰა (კარგი, მწირი)		საკარმიდამო 1 ჰა (კარგი, მწირი)		სათიბები 1 ჰა		სამოვრები 1 ჰა		ყოფილი საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობის	ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის გამოყოფილ მიწაზე 1 ჰა
კარგი 75 ლარი	მწი-რი 71 ლარი	კარგი 65 ლარი	მწირი 61 ლარი	3,75 ლარი	გაკულტურებული 16 ლარი	2,25 ლ.	გაკულტურებული 10 ლარი	ტყეები 1 ჰა 25 ლარი	3 ლარი

ა. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე, ამ დადგენილების პირველი მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ქონების გადასახადთან დაკავშირებით დაწესდეს შეღავათი და წლიური განაკვეთი მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე განისაზღვროს შემდეგნაირად:

სასოფლო-სამეურნეო მიწაზე ქონების გადასახადის განაკვეთი					
სახნავი და სხვა მიწებისთვის 1 ჰა	საკარმიდამო 1 ჰა	სათიბები 1 ჰა მ.შ. გაკულტურებული	სამოვარი 1 ჰა მ.შ. გაკულტურებული	ყოფილი საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობის ტყეები 1 ჰა	ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის გამოყოფილ მიწაზე 1 ჰა
71 ლარი	61 ლარი	3,37 ლარი	2,25 ლარი	25 ლარი	3 ლარი

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 26 აპრილის დადგენილება №15 - ვებგვერდი, 02.05.2011 წ.

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 19 მაისის დადგენილება №20 - ვებგვერდი, 27.05.2011 წ.

5. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების ერთ კვადრატულ მეტრზე წლიური გადასახადის განაკვეთებია:

ა) სოფლებში: ბაზალეთში, რადიოსადგურის დასახლებაში, ჩანადირებში, სეთურნში, დაბა ფასანაურში – 0,36 ლარი (საბაზისო განაკვეთი 0,24x1,5 კოეფიციენტი=0,36);

ბ) ქალაქ დუშეთში, დაბა ჟინვალში სოფლებში: წითელი სოფელი ბოდორნა ანანური, ჭართალი, ქვემეთი, შეადგენს 0,24 ლარი (საბაზისო განაკვეთი 0,24x1,0 კოეფიციენტი=0,24);

გ) მუნიციპალიტეტის დანარჩენ ტერიტორიაზე 0,216 ლარი (საბაზისო განაკვეთი 0,24x0,9 კოეფიციენტი=0,216).

6. დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიწაზე ქონების გადასახადისაგან გათავისუფლდნენ პირები:

ა) დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე საცხოვრებელ სახლებზე ან/და ავტოფარეხებზე მიმაგრებულ მიწის ნაკვეთებზე;

ბ) მარავლბინიან სახლში მცხოვრები ფიზიკური პირები, ამ ბინებზე დამაგრებულ მათ თანასაკუთრებაში არსებულ მიწებზე.

მუხლი 2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 28 თებერვლის №8 დადგენილება „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“.

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2011 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ საგადასახადო ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ც. საძაგლიშვილი

შეტანილი ცვლილებები:

1. დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 26 აპრილის დადგენილება №15 - ვებგვერდი, 02.05.2011 წ.
2. დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 19 მაისის დადგენილება №20 - ვებგვერდი, 27.05.2011 წ.